პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი | № 200 (10897) | შაბათი, 24 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანიმუშოდ მოვუაროთ საბინაო ფონდს

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში მოცემულია მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების ნათელი პროგრამა.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები მიიღეს ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დიდი ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ". ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში დასახულია ისეთი ურთულესი პრობლემის გადაჭრის ნათელი გზები, როგორიც არის საბინაო პრობლემა. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად შექმნილია საჭირო პირობები საბინაო მშენებლობის შემდგომი აღმავლობისათვის. წელს გათვალისწინებულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 34 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. შემდგომ წლებში სახელმწიფო საბინაო მშენებლობის მოცულობა კიდევ უფრო გადიდდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახავენ ამოცანას უმოკლეს ვადაში მიაღწიონ საბინაო ფონდის მნიშვნელოვან მატებას, რათა უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოეღოს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას. მაგრამ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ არსებული საბინაო ფონდის მოვლას.

საცხოვრებელი სახლები დიდხანს რომ შევინარჩუნოთ, საჭიროა სანიმუშოდ მოვუაროთ მათ, თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ სარემონტო სამუშაოები.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე. მაგალითად, თბილისში მიმდინარე წლის შვიდ თვეში კომუნალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისა და ავარიული სახლების შესაკეთებლად შესრულებულ იქნა თითქმის 12 მილიონი მანეთის სამუშაოები.

მაგრამ კომუნალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ რემონტს ყველგან როდი აწარმოებენ დროულად და მაღალხარისხოვნად. არის შემთხვევები, რომ სარემონტო კანტორები ვერ ასრულებენ სახლების კაპიტალური შეკეთების გეგმებს. ქ. სტალინირში შეუწყნარებლად ნელი ტემპით წარმოებს კომუნალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. წელს გეგმის მიხედვით საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ რემონტზე უნდა დაიხარჯოს 400 ათასი მანეთი. პირველი აგვისტოსათვის ამ თანხიდან ათვისებული იყო მხოლოდ 147 ათასი მანეთი.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ქ. ქუთაისშია. მთელი რიგი სახლების რემონტი თვეობით ჭიანურდება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ლერმონტოვის ქ. № 7, წერეთლის ქ. № 101, ბროსეს ქ. № 7 სახლები. გათვალისწინებული 37 სახლის ნაცვლად წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 9 სახლის კაპიტალური შეკეთება მოახერხეს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჩატარებული კაპიტალური რემონტის ხარისხი ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგჯერ იატაკს, კარებს, ფანჯრებს ნედლი ხის მასალისაგან ამზადებენ, რის გამო ისინი მალე განიცდიან დეფორმაციას. იშვიათი როდია შემთხვევები, რომ ახლადშეკეთებული სახურავიდან წყალი ჩამოდის და სხვ.

გასული წლის მიწურულში თბილისში ხეთაგუროვის ქ. № 91 სახლში კაპიტალური რემონტი გააკეთეს. გავიდა რამდენიმე თვე და აივანზე ჭერი ჩამოინგრა, მობინადრეთა ახლადგამოცვლილი კარები კარგად აღარ იხურება, აივნის მოაჯირს საღებავი მოცილდა და სხვ. ასე „ასრულებს" სარემონტო სამუშაოებს ზოგიერთი სარემონტო კანტორა, რაც მობინადრეთა სამართლიან სამდურავს იწვევს.

სახლმმართველობები ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას. ზოგჯერ იმის გამო, რომ სახლმმართველობები დროულად არ აწარმოებენ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს, ასეთ სახლებში მალე კაპიტალური რემონტის გაკეთება უხდებათ, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით მობინადრეებიც ყოველთვის ზუსტად როდი იცავენ საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლოატაციის ნორმებს. ეს კი იწვევს შენობების ნაადრევ გამოსვლას მწყობრიდან.

არსებული ნაკლოვანებები დროულად რომ აღმოიფხვრას, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, მათმა საბინაო ორგანოებმა სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიონ, ოპერატიულად უხელმძღვანელონ საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას. მათს გამართულ, მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საბინაო ფონდის სანიმუშო მდგომარეობაში ყოფნა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დაგეგმვას. უნდა ვერიდოთ გამოყოფილი თანხების მრავალ ობიექტზე დაქსაქსვას, დროულად უნდა დგებოდეს შესაკეთებელი სახლების სატიტულო სიები.

ახლა კომუნალური საცხოვრებელი სახლები რთულ მეურნეობებს წარმოადგენენ. ამიტომ სახლმმართველობები უნდა დავაკომპლექტოთ სპეციალისტებით, საქმის მცოდნე ადამიანებით, რომლებიც შეძლებენ ამ რთული მეურნეობის პირნათლად გაძღოლას.

ყოველწლიურად სულ უფრო მეტი შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები. ამოცანა ის არის, რომ კარგად მოვუაროთ მათ, სანიმუშო მდგომარეობაში ვიქონიოთ საბინაო ფონდი.

## რუმინეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავის გამო

### რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების მეცამეტე წლისთავთან დაკავშირებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში მიხაი დალიამ საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის პერსონალთან ერთად 22 აგვისტოს ინახულა და რუმინელი ხალხის სახელით გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი.

გვირგვინის ლენტზე წარწერაა რუმინულ და რუსულ ენებზე: „ლენინსა და სტალინს რუმინელი ხალხისაგან პატივისცემის ნიშნად. 1957 წლის 23 აგვისტო. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში".

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

27 აგვისტოს საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია **პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო პლენუმი,** მიძღვნილი სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 50-ე წლისთავისადმი.

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
## ამხანაგ პეტრუ გროზას
## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
## ამხანაგ კივუ სტოიკას
## რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს
## ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟს

ბუქარესტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გითვლით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს უაღრესად გულთბილ და მეგობრულ მილოცვას რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის გამო — ფაშიზმის უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღის გამო.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები ზეიმით და სიხარულით აღნიშნავენ ფაშიზმის უღლისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლების მე-13 წლისთავს. დაამხო რა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება და დაამყარა რა თავის ქვეყანაში სახალხო-დემოკრატიული წყობილება, რუმინელმა ხალხმა მუშათა კლასის მეთაურობით, ნაცადი და ნაწრთობი ავანგარდის — რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, მოკლე ისტორიულ ვადაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში. თავისუფალი რუმინეთის შრომისმოყვარე ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი მიღწევებით მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ღირსეული ადგილი უჭირავს სოციალისტური ქვეყნების დიდ ოჯახში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ხალხთა მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მშრომელებს, ისევე როგორც თქვენი ქვეყნის მშრომელებს, რომლებიც აღფრთოვანებული არიან იდეებისა და მიზნის ერთიანობით — კომუნიზმის აშენებით, გულწრფელად უხარიათ რუმინეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის წარმატებანი, იჩენენ ზრუნვას საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობის და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

განვლილი წლები მოწმობენ, რომ განუხრელად მტკიცდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის მუშათა პარტიის კავშირი, ფართოვდება ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა სრული თანასწორუფლებიანობის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე. წარმატებით ხორციელდება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მთავრობათა დელეგაციების 1956 წლის 3 დეკემბრის ერთობლივი განცხადება, რომელიც წარმოადგენს იმ საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ტიპის შესანიშნავ მაგალითს, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის ძმური და გულწრფელი მეგობრობა მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი ქვეყნების პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის კონტაქტით, რაც მუდამ მტკიცდება, აგრეთვე კულტურული და მეცნიერული ძალების ყოველმხრივი გაცვლით.

ნება გვიბოძეთ დაგარწმუნოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცდეს ჩვენს ხალხებს, პარტიებსა და სახელმწიფოებს შორის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა საკეთილდღეოდ, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სულით და გულით უსურვებენ რუმინეთის მუშათა პარტიას, რუმინელ მშრომელებს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას და პირადად თქვენ ახალ დიდ წარმატებებს თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა ხალხსა და რუმინელ ხალხს შორის ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა!

მოსკოვი, კრემლი.
1957 წლის 22 აგვისტო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ბულგანინი**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**
**ნ. ხრუშჩოვი**

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრს გენერალ-პოლკოვნიკ
## ამხანაგ ლ. სელეჟანს

ძვირფასო ამხანაგო სელეჟან!

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახელით გითვლით თქვენ და არმიისა და ფლოტის მთელ პირად შემადგენლობას გულითად მილოცვას მოძმე რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის გამო — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღის გამო.

საბჭოთა მეომრები დიდად აფასებენ ჩვენი არმიების საბრძოლო მეგობრობას, რომელიც ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ჩაისახა და სულ უფრო მტკიცდება. ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად განვამტკიცებთ ამ მეგობრობას ჩვენი ხალხების, მთელი სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ უსურვებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებსა და მის შეიარაღებულ ძალებს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობასა და მათი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი**
**გ. ჟუკოვი**

1957 წლის 21 აგვისტო.

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს
## ამხანაგ იონ გეორგე მაურერს

ბუქარესტი

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღის გამო გულითადად გილოცავთ, პატივცემულო ამხანაგო მინისტრო, ამ შესანიშნავ დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობაში, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის განმტკიცება, ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

**სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო**

მოსკოვი, 1957 წლის 22 აგვისტო.

# მაღალი ჯილდო ახალი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებს

## ლოკომოტივშემკეთებლების გადაწყვეტილება

22 აგვისტოს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ეზოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო საბჭოთა პროფკავშირების ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საწარმოს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ნიკოლეიშვილი. მან ილაპარაკა საბჭოთა პროფკავშირების უდიდესი დამსახურების შესახებ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში და მიულოცა მუშებს პროფკავშირული ორგანიზაციების სახელოვანი 50 წლისთავის გამო მაღალი ჯილდოს — ლენინის ორდენის მიღება.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ამწყობი საამქროს ელექტროზეინკალმა ვ. გოლიკოვმა, პროფაქტივისტებმა — ვ. გულუშენკომ, გ. ვოროზჩენკომ, ა. ბოროდინამ და სხვ.

სამჭედლო საამქროს მწნეხავმა დ. კროჭმა მთავრობის უმაღლესი ჯილდოს პასუხად მიტინგზე განაცხადა: ჩვენს ქარხანაში მომუშავე ძველ პროფკავშირლებს შემოგვაქვს წინადადება — ვადაზე ადრე შევასრულოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. ეს იქნება ჩვენი საუკეთესო გამოხმაურება მაღალი ჯილდოს პასუხად.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მას მხარი, იკისრეს უზრუნველყონ საოქტომბრო ვალდებულებების ვადამდე შესრულება.

# დიდი სიყვარულით

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში პროფკავშირული ორგანიზაცია დიდი ავტორიტეტით და მასების სიყვარულით სარგებლობს. დალხინებისა თუ გაჭირვების დროს მუშები მიეჩვივნენ უწინარეს ყოვლისა თავიანთ საქარხნო პროფკავშირულ ორგანიზაციას მიმართონ და იქ მიიღონ დახმარება და თანაგრძნობა. ამიტომ იყო, რომ ქარხანაში არ დარჩენილა პროფკავშირის არც ერთი წევრი, რომელსაც კმაყოფილება არ გამოეთქვას სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ქარხანაში მოწვეულ მიტინგზე გამოჩენილმა ნოვატორმა ჩარხმშენებელმა ხარატმა ა. აგანჯანოვმა განაცხადა:

— ეს მაღალი ჯილდო ჩვენ, წარმოების ძველ მუშებს, რომლებიც არაერთი ათეული წელიწადია პროფკავშირის წევრები ვართ, საკუთარ ჯილდოდ მიგვაჩნია. იგი აღგვაფრთოვანებს შემდგომში კიდევ უკეთ მუშაობისათვის, პროფკავშირული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის!

— რით შეგვიძლია ჩვენ, — თქვა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ხარატმა გ. სულაძემ, — აღვნიშნოთ პროფკავშირული მუშაობის ესოდენ მაღალი შეფასება, თუ არა საწარმოს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციებისათვის უფრო მეტი დახმარებით, საწარმოს მართვაში მუშათა ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფით, საწარმოო დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად მასების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით.

დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ჩარხმშენებლები თავიანთი პროფკავშირული ორგანიზაციის ყოველდღიურ მუშაობაზე, გამოთქვამდნენ სურვილს, რომ საქარხნო კომიტეტმა მეტი რიგითი მუშები ჩააბას პროფკავშირულ მუშაობაში, უკეთესად გაუწიოს მეთაურობა მასების საწარმოო აქტივობას.

# ვიეტნამელი მეგობრები თბილისში

გუშინ სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 82 კაცის შემადგენლობით. დღისით თბილისის ვაგზალზე თავი მოიყარეს დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა. მატარებელი როსტოვი-თბილისი ნელი სვლით უახლოვდება ვაგზლის პერონს. შემხვედრნი ხანგრძლივი ოვაციებით ეგებებიან, ცოცხალ ყვავილებს უძღვნიან ძვირფას სტუმრებს.

ვაგზლის მოედანზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ილიკო სუხიშვილმა. მან თქვა:

— ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე თქვენი ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც იხილავენ ვიეტნამელი ხალხის ხელოვნებას. თქვენი ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის მეგობრობას. გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის ურღვევ მეგობრობას!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ხონგ კიონგმა, რომლის სიტყვებს შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

— ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! — თქვა მან, — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის დამთავრების შემდეგ ჩვენ მოგვეცა საშუალება საბჭოთა კავშირში დავრჩეთ ერთ თვეს. დღეს ჩვენ კონცერტების გასამართავად ჩამოვედით თბილისში. მადლობელი ვართ გულთბილი მიღებისათვის. დღითიდღე იზრდება და მტკიცდება მეგობრობა საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს შორის. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობისა და ბედნიერების ბურჯს!

მიტინგის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა განაცხადა:

— ანსამბლმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1946 წელს, იმ დროს, როცა წარმოებდა ბრძოლა ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მაშინ ანსამბლის შემადგენლობა 12 კაცს არ აღემატებოდა. ახლა კი ანსამბლი წარმოადგენს დიდ პროფესიულ კოლექტივს, რომელშიც არის საცეკვაო და გუნდური ჯგუფები, აგრეთვე ორკესტრი. განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ანსამბლის მსახიობები არა მარტო გამოდიოდნენ მებრძოლთა წინაშე, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მტერთან ბრძოლაში. დიდი დამსახურებისათვის ვიეტნამის მთავრობამ ეს ანსამბლი დააჯილდოვა „წინააღმდეგობის პირველი ხარისხის ორდენით" და სხვა ჯილდოებით. იმ 12 წევრიდან, რომელთაგანაც მაშინ ჩვენი ანსამბლი შედგებოდა ბრძოლებში ათი კაცი დაიღუპა. ბრძოლების მონაწილე დო ნიუანი ახლა ჩვენი ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია, ხოლო ნგუენ დიკ ტოანი — ანსამბლის წევრი.

გარდა ჩვეულებრივი ინსტრუმენტებისა ანსამბლს აქვს ეროვნული საკრავები. მის პროგრამაშია ვიეტნამური ხალხური სიმღერები, ცეკვები და რამდენიმე საბჭოთა სიმღერა. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე ანსამბლის მიერ შესრულებულმა ორმა ცეკვამ მიიღო ვერცხლის მედლები, ხოლო ერთსიმიან ხალხურ ინსტრუმენტზე შემსრულებელმა მან ტხუანგმა ოქროს მედალი დაიმსახურა. მომღერალმა ქალმა ტხიონგ ხუენმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენი ანსამბლის ყველა წევრი მოხიბლულია საბჭოთა ახალგაზრდების გულთბილი შეხვედრებით.

საქართველოში ჩვენ პირველად ვართ, — თქვა დასასრულს ხონგ კიონგმა. — ვიცოდით, რომ საქართველო იყო ყურძნის, ციტრუსებისა და ხილის ქვეყანა. დღემდე ჩვენ ვიცნობდით ქართველ ინჟინრებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში ჩაის ფაბრიკა აგვიშენეს. ახლა დიდად მოხარული ვართ გავიცნოთ სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი. ჩვენ ქართველი ხალხის პატივსაცემად შევისწავლეთ ქართული ხალხური სიმღერა „სულიკო", რომელსაც კონცერტებზე შევასრულებთ.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები.



სურათზე: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელ-წიფო ანსამბლის მონაწილენი თბილისის ვაგზალზე.

პარტიული ცხოვრება

## პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

[illegible]

საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია აგიტატორების დ. კაკაურიძის, რ. მენაღარაშვილის, ნ. ბალანჩივაძის, რ. თევდორაძის, კ. ტაბატაძის, რ. კაპანაძის, ა. გოგლიჩიძის, ზ. ახალაძის და სხვათა ნაყოფიერი მუშაობა.

ამას წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ ნათელყო, რომ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე მტკიცე პარტიულმა კონტროლმა სათანადო შედეგი გამოიღო. მშენებლებმა ნახევარი წლის გეგმა მოიჯარადრე ორგანიზაციების ჩათვლით თხუთმეტი დღით ადრე შეასრულეს და სამშობლოს ნახევარი მილიონი მანეთი დაუზოგეს. გეგმის გადამეტებით შესრულებულია რამდენიმე მილიონი მანეთის სამუშაო. უკეთესი მაჩვენებლებია მოპოვებული ივლისში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს, მესამე ავტოსატრანსპორტო [illegible]

[illegible] შირულ ორგანიზაციებს. მშენებელთა პროფკავშირის კომიტეტი სუსტად იბრძვის მოწინავე ჰიდრომშენებელთა გამოცდილების განზოგადებისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. არის ახალგაზრდა მუშების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა წინაშე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. გუმათჰესის მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერებს ხელმძღვანელობას სოციალისტური შეჯიბრებისადმი, მისი ნამდვილად მასობრივ მოძრაობად გადაქცევისათვის.

ვ. სვანაძე,
გუმათჰესის მშენებლობის პარტბიუროს მდივანი.



[illegible]

### ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ოსტატები

[illegible] მეურნეობის მეხუთე ბრიგადის წევრი ნ. ჟორჟოლიანი.

ზ. მესენგისერი.

### დახმარება მრავალშვილიან დედებს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონში ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულია 1.255 მრავალშვილიანი დედა. აქედან „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიენიჭა 15 მრავალშვილიან დედას.

სახელმწიფო დახმარების სახით მრავალშვილიან დედებს მიეცათ 1955 წელს 935.031 მანეთი, 1956 წელს — 967.958 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვეში — 477.813 მანეთი.

მრავალშვილიან დედას თამარ ლაბაძეს დღემდე მიღებული აქვს 10.500 მანეთი, დომიკა ორთოიძეს — 10.200 მანეთი.




### საქართველოს პროფკავშირები სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დე- [illegible]

[illegible] ობის ფართოდ გაშლას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფკავშირებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდაში. პროფკავშირებს პარტიასთან ერთად ხელში უნდა აეღოთ საწარმოებში მუშათა კონტროლის შემოღებისა და გატარებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა. საქართველოს ბოლშევიკები, წარმართავდნენ რა პროფესიულ მოძრაობას, გამოდიოდნენ ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებიდან, რომელიც მან მოგვცა ერთ-ერთ დოკუმენტში — „რეზოლუცია ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ“, სადაც წერდა:

„...ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე პროფესიულ კავშირებს, კონტროლში მონაწილეობის უფლება უნდა მივცეთ, მათთვის გადაშლილი უნდა იყოს ყველა სავაჭრო და საბანკო დავთარი, ამასთანავე სავალდებულო უნდა იყოს ყოველგვარი მონაცემების მიწოდება მათთვის“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 623).

საქართველოს ბოლშევიკების ყოველდღიური პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობის შედეგად საწარმოებსა და დაწე- [illegible]

[illegible] პროფესიული კავშირი, ხოლო ბათუმში — მელითონეთა, მბეჭდავთა, ნავსადგურის და მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშათა პროფესიული კავშირები. ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა პროფკავშირების მუშაობას ხელმძღვანელობდა ბათუმის პროფკავშირული საბჭო, რომლის გამგეობა ძირითადად ბოლშევიკებისაგან შედგებოდა და რომელიც სცემდა საკუთარ პროფკავშირულ გაზეთს — „გოლოს ტრუდა“.

ქ. თბილისში მუშათა პროფესიული კავშირების შექმნის ინიციატივა მბეჭდავ მუშებს ეკუთვნით. 1917 წლის 12 მარტს თბილისში გაიმართა მბეჭდავი მუშების კრება, რომელსაც ოთხასამდე კაცი დაესწრო. კრების დღის წესრიგში იდგა ორი მთავარი საკითხი: 1) მოხსენება მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშაობის შესახებ და 2) ქ. თბილისში ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიული საზოგადოების შექმნის შესახებ.

კრებაზე როგორც მომხსენებელმა, ასევე კამათში გამოსულებმა ვრცლად ილაპარაკეს მუშათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, დააყენეს საკითხი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემცირების, ხელფასის გადიდების, წარმოებაზე მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ და გადაჭრით მოითხოვეს მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის მიზნით პროფესიული კავშირის შექმნა.

1917 წლის მაისში თბილისში შეიქმნა პროფკავშირის ცენტრალური ბიურო, რომელშიც გაერთიანდა 31 პროფკავშირული ორგანიზაცია და რომელიც ამ პერიოდისათვის 30 ათასზე მეტ წევრს აერთიანებდა.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას და ყოველნაირად ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ პროფესიული კავშირები ბურჟუაზიის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტისაგან, შეძლეს გამძვრალიყვნენ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში და შეეცადნენ პროფკავშირები გადაექციათ „ნეიტრალურ“ ორგანიზაციად, ხელიდან გამოეცალათ მისთვის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ძირითადი საშუალებანი.

განუწყვეტლივ იბრძოდნენ რა მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ, საქართველოს ბოლშევიკებმა მენშევიკები განდევნეს მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობიდან, მიაღწიეს სერიოზულ გავლენას მელითონეთა, მეთამბაქოეთა, ელექტროდარგის მუშაკთა, მეტყავეთა და სხვა პროფესიულ კავშირებში, ჩაუდგნენ მათ სათავეში და მთელი მათი მუშაობა წარმართეს საქართველოს პროლეტარიატის დასარაზმავად ბოლშევიკური პარტიის გარშემო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის ბრძოლაში.

### ვემზადებით ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის

[illegible] (№ 26).

მიუხედავად იმისა, რომ შარშან ვენახებს ცუდი ამინდები დაუდგა და მოსავალი შედარებით დაბალი იყო, ნახევრადტკბილი ღვინოების გამოშვების დავალება ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით დამზადდა 1.000 დეკალიტრი „ხვანჭკარა“ და 1.600 დეკალიტრი „თეთრა“.

ახალი სეზონის მოსავლის ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის მზადებას დროულად შევუდექით, შევაკეთეთ ღვინის სათავსი შენობა, სტაციონარული საღვინე და სადუღარი მუხისა და ფიჭვის ჩანები, დავამთავრეთ ყურძნის გადასამუშავებელი იარაღ-მანქანების წესრიგზე მოყვანა. შეკეთებულია ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტარა-მასალა, მიმდინარეობს საღვინე ტარის დამუშავება ცხელი და ცივი წყლით, იმ ვარაუდით, რომ 20 სექტემბრისათვის ქარხანა მთლიანად მზად იქნეს ყურძნის მისაღებად და გადასამუშავებლად. ყურძნის მექანიკური დახარისხებისათვის შექმნილია და იდგმება ახალი ეგრატუმბო.

სეზონისათვის მზადებაში ენერგიულად მონაწილეობს ქარხნის მთელი კოლექტივი. მათ შორის თავდადებული შრომით გამოირჩევიან მეკასრე ვ. გაგოშიძე, სარდაფის მუშები ბ. ცხვირავაშვილი და ზ. გაგოშიძე, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 125-140 პროცენტით ასრულებენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ჭრებალოელი მეღვინეები ახალი წარმატებებით შევხვდებით.

გ. გაბისიანი,
ჭრებალოს ღვინის ქარხნის დირექტორი.

### ახალი საშუალო სკოლა

ხაშური. (საკ. კორ.). მიმდინარე წლიდან სოფელ იტრიის შვიდწლიანი სკოლა გადაკეთებულია საშუალო სკოლად. ამჟამად მთავრდება სკოლის სასწავლო ოთახების შეკეთება და კეთილმოწყობა.

ახალი საშუალო სკოლა გარდა სოფელ იტრიისა, მოემსახურება სოფლებს ჩუმათელეთს, ბიჯნისს, ზეკოტას, ბულაურას, ურთხვას.

## საკავშირო სამრეწველო გამოფენის პავილიონებში

მანქანას, რომელშიც დამწყები ხარატიც კი ერთი შეხედვით გამოიცნობდა უკვე მოძველებული ტიპის, ნაცად უნივერსალურ სახარატო ჩარხს, თითქოს არ უნდა გამოეწვია ისეთი ღრმა ინტერესი, როგორსაც მისდამი ორი ექსკურსანტი იჩენდა. საათზე მეტი ხნის განმავლობაში ისინი ამ ჩარხს ჩაჰკირკიტებდნენ, რამდენჯერმე სთხოვეს პავილიონის მომსახურე სპეციალისტს აეხსნა ზოგიერთი დეტალისა და კვანძის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი. აამუშავებინეს ჩარხი.

— სულ უბრალო რამ არის, — ჩაილაპარაკა ერთმა.

— უბრალოა, მაგრამ ჩარხი ნახევარავტომატად არის გადაქცეული, — უპასუხა მეორემ. — ჩვენ კი რამდენი ვიწვალეთ, რა არ გავუკეთეთ, მაინც ვერაფერი მოვუხერხეთ ძველ ჩარხებს.

— დავბრუნდებით თუ არა უკან, მეორე დღესვე უნდა შევუდგეთ ჩარხების ასევე გადაკეთებას. ამაზე უკეთესს რას ჩავიტანთ ჩვენს ქარხანაში.

მართლაც შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო სამრეწველო გამოფენის მრავალი ექსპონატიდან სწორედ ეს ჩარხი იყო ყველაზე ძვირფასი და საინტერესო ამ ორი ექსკურსანტის — ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატებისათვის. როგორც მათთან საუბრიდან გამოირკვა, მათ ქარხანაში ბევრი მოძველებული ტიპის ჩარხები დგას, რომლებიც ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. რა არ გააკეთეს მოძველებული საჩარხო პარკის მოდერნიზაციისათვის, მაგრამ შედეგები მაინც არადამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომ გასაკვირველი არ არის ტაშკენტელი ხარატების სიხარული, როდესაც მათ გამოფენაზე ნახეს ის, რასაც ამდენხანს უშედეგოდ იძიებდნენ.

ასეთი შემთხვევა გამონაკლისი როდია. ყოველდღე ასობით ექსკურსანტი — როგორც მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები ნახულობენ სამრეწველო გამოფენას, ეცნობიან ტექნიკის უახლეს მიღწევებს, იმდიდრებენ ცოდნას.

მართლაც, ბევრი რამ ახალი შეიძლება ნახო და შეისწავლო გამოფენის 21 პავილიონში და 13 ღია მოედანზე. აქ წარმოდგენილია 50 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ნათლად ასახავენ ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და მეცნიერების მიღწევებს.

გამოფენის ცენტრში აღმართულია მანქანათმშენებლობის პავილიონი. მას სამართლიანად უჭირავს ეს ადგილი. აქ თავმოყრილია თანამედროვე ინდუსტრიის ძირითადი დარგები.

პავილიონის დარბაზებში, სადაც მოთავსებულია მეტალურგიული მრეწველობის განყოფილება, ყურადღებას იქცევს დიდი რუსი მეცნიერის დ. მენდელეევის ელემენტების პერიოდული სისტემა, რომელზეც ნაჩვენებია, თუ როდის და რა ლითონების წარმოება იქნა ათვისებული საბჭოთა მეტალურგების მიერ. აქვე წარმოდგენილია მადნეულის კოლექცია, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი სამშობლოს წიაღის სიმდიდრეს, შავი და ფერადი ლითონების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის უშრეტ მარაგს.

პავილიონში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ენერგეტიკას. წარმოდგენილია მრავალი ექსპონატი, რომლებიც ნათლად ასახავენ საბჭოთა ენერგეტიკოსების სასახელო მიღწევებს. ცალკე სტენდზე ნაჩვენებია მსოფლიოში უდიდესი — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მაკეტი. ამ ელექტროსადგურმა ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 23 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც თითქმის სამჯერ აღემატება „გოელროს“ გეგმით გათვალისწინებულ ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრეს.

ამავე პავილიონის დარბაზებში და მის გვერდით მდებარე ღია მოედანზე ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა ავტომობილმშენებლობის მრავალფეროვანი პროდუქცია, მათ შორის 30 ახალი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, ავტობუსები, მისაბმელები და სხვ.

ქართველი ავტომობილმშენებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამოფენაზე ექსპონირებული ორი ქუთაისური მანქანა ექსკურსანტთა საერთო ყურადღებას იპყრობს კონსტრუქციის ორიგინალობით. ერთი მათგანია „კაზ-602“. ძარის ასაყირავებელი მექანიზმის ორიგინალური კონსტრუქცია იმის საშუალებას იძლევა, რომ ძარა აყირავებულ იქნას სამივე მხარეს, რის შედეგადაც საჭირო აღარ არის ზედმეტი მანევრირება, მნიშვნელოვნად იზრდება მანქანის წარმადობა და გამოყენების კოეფიციენტი.

რაც შეეხება მეორე მანქანას, მის გარშემო ხშირად იკრიბებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები, კერძოდ მოძმე შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. საქმე ის არის, რომ ეს მანქანა, რომელიც საწევარისა და დიდი მოცულობის ნახევარმისაბმელისაგან შედგება, განკუთვნილია ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვისათვის. მისაბმელი პლატფორმა ავტომატურად ყირავდება მარჯვენა მხარეს. ამ მანქანის გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტრანსპორტირებას.

სამრეწველო გამოფენის 21 პავილიონიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს პავილიონი — „ატომური ენერგია სამშვიდობო მიზნებისათვის“. ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შემოვა გამოფენის ტერიტორიაზე და ამ პავილიონს არ დაათვალიერებს. ყველას აინტერესებს თავისი თვალით ნახოს, თუ როგორ და საიდან წარმოიშობა ის საოცარი, კოლოსალური ენერგია, რომლის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენება ზღაპრულ მომავალს უქადის კაცობრიობას.

პავილიონის პირველ დარბაზში გამოფენილი ექსპონატები მოგვითხრობენ ატომისა და მისი ბირთვის აგებულების, რადიოაქტიური დაშლისა და ჯაჭვისებრი რეაქციის სქემების შესახებ. მნახველი თვალნათლივ ეცნობა, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ისეთი მცირე ელემენტების შესწავლა, რომელთა დანახვა თვალით ყველაზე მძლავრ მიკროსკოპებშიც კი არ შეიძლება.

ერთ-ერთი დარბაზი დათმობილი აქვს ატომურ რეაქტორებსა და ელექტროსადგურებს. დარბაზის თითქმის ნახევარი უკავია მოქმედ რეაქტორს, რომლის სიმძლავრე 100 კილოვატს უდრის. რეაქტორზე ახდენენ სხვადასხვა ექსპერიმენტებს.

ამავე დარბაზში სპეციალურ სტენდზე დგას მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის 40-ჯერ შემცირებული მაკეტი. აქვე არის უზარმაზარი მაკეტი ატომური ელექტროსადგურისა, რომელიც მეექვსე ხუთწლედში უნდა აშენდეს. ორგანული მინის გამჭვირვალე კედლები საშუალებას იძლევიან დაწვრილებით გავეცნოთ სადგურის რთულ შიდა მოწყობილობას.

სამრეწველო გამოფენის პავილიონების თითქმის ნახევარში — 9 პავილიონში ნაჩვენებია კვების მრეწველობის მიღწევები. მეღვინეობის პავილიონში ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის პროდუქცია. სპეციალურ სტენდზე გამოფენილია ღვინოები და კონიაკები, რომლებმაც 1955 წლის საერთაშორისო გამოფენებზე მოიპოვეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს ქართულ კონიაკებს „ძალიან ძველი“ და „ენისელი“, ღვინოებს „ჩხავერი“, „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „გურჯაანი“, „თელიანი“, „ტვიში“.

სამრეწველო გამოფენაზე წელს პირველად გაიხსნა სპეციალური პავილიონი „მეცნიერება“. ამ პავილიონში წარმოდგენილია ჩვენი მეცნიერების ცენტრის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხუთასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც თვალნათლივ მოგვითხრობენ საბჭოთა მეცნიერების დიდ მიღწევებზე. განსაკუთრებით საინტერესოა ზუსტი მექანიკისა და გამოსათვლელი მანქანების ინსტიტუტის მიერ შექმნილი სწრაფმოქმედი ელექტროსათვლელი მანქანის მოდელი. მანქანა აწარმოებს მრავალი სახის რთულ სამეცნიერო და ტექნიკურ გამოთვლას, ახორციელებს მთელ რიგ ლოგიკურ ოპერაციებს, კერძოდ, რუსულად თარგმნის ინგლისურ ტექსტს.

კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო სამრეწველო გამოფენაზე, მაგრამ ყველაფრის აღწერა ერთ წერილში შეუძლებელია. გვინდა მხოლოდ ორიოდე კრიტიკული შენიშვნა გავაკეთოთ. განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაგან, სადაც ყველა რესპუბლიკას საკუთარი პავილიონი აქვს და ამდენად შესაძლებლობა ეძლევა ფართოდ აჩვენოს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში, სამრეწველო გამოფენა მოწყობილია დარგობრივი პრინციპის მიხედვით, მაგრამ ეს მაინც არ უნდა უშლიდეს ხელს ცალკეული რესპუბლიკების მიღწევების ჩვენებას. ეს საკითხი კი ჯერჯერობით მოუგვარებელია. მაგალითად, გამოფენაზე ვერსად ვერ ნახავთ ჩვენი რესპუბლიკის ჩარხმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქციას.

გაკვირვებას იწვევს, რომ გეოლოგიის განყოფილებაში, სადაც გამოფენილია მარმარილოს მრავალრიცხოვანი ნიმუშები, არ არის ქართული მარმარილოს, კერძოდ მსოფლიოში ცნობილი ლოპოტის მარმარილოს არც ერთი ნიმუში.

უდიდესია სამრეწველო გამოფენის მნიშვნელობა. გამოფენაზე წარმოდგენილი მიღწევების დანერგვა თვითეულ საწარმოში, რის შესაძლებლობაც ყველგან არსებობს, ხელს შეუწყობს ახალი წარმატებების მოპოვებას, სოციალისტური მრეწველობის კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წინსვლას.

შ. ცირეკიძე, გ. ჩიქვინიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



სურათზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენების მექანიზაციის მოედანი ფესტივალის დღეებში.
ფოტო ვ. მასტიუკოვისა და კონკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# მშრომელები იწონებენ კანონის პროექტს ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

★

## შრომა ადამიანის ღირსების საქმეა

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო არტელია რაიონში. მისი სახნავ-სათესი ფართობი 790 ჰექტარს შეადგენს. გარდა ამისა აქ კარგად არის განვითარებული მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. კოლმეურნეები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ფორმალურად ირიცხებიან კოლმეურნეობის წევრებად, გაურბიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, თავიანთი წვლილი არ შეაქვთ საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლების საქმეში. მაგალითად, კოლმეურნეებს ლეო და ონარა ჯიოშვილებს, ე. კურტანიძეს, ა. კავსაძეს წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. აქაიქ არიან ისეთებიც, რომლებიც არც მსახურობენ და არც საკოლმეურნეო შრომას ეწევიან.

ახლახან გამოქვეყნებულ კანონის პროექტში „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" ხაზგასმით სწორად არის ნათქვამი, რომ ასეთი პირების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გადამწყვეტი ღონისძიებანი.

ვიწონებ რა კანონის პროექტს, მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა პირველი მუხლის შესახებ.

პირველ მუხლში ნათქვამია, რომ დამრღვევის პიროვნების, მისი გულახდილი მონანიებისა და გამოსწორების მტკიცე დაპირების გათვალისწინებით მოქალაქეთა კრებას შეუძლია დასჯერდეს გაფრთხილებას გამოსაცდელი ვადის დადგენით, რომლის განმავლობაში დამრღვევმა უნდა გამოასწოროს თავისი ქცევა. ვფიქრობ, რომ ასეთი გაფრთხილება ზედმეტია. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში სავსებით ნათლად არის ნათქვამი: „შრომა საქართველოს სსრ-ში არის შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არცა ჭამს".

უსაქმურებს ჩვენს საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

**ა. ივანიძე,**
ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის № 4 მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი.

★ ★

## ჩემი წინადადება

ჩვენში შრომა ადამიანის ღირსების, სახელისა და დიდების საქმეა, იგი დიადი სოციალისტური ქვეყნის თვითეული მოქალაქის კეთილშობილური მოვალეობაა.

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მოქალაქეთა შრომის პირობებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სისტემატურად იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით შრომობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, დიდ გამარჯვებებს აღწევენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, თავიანთი წვლილი არ შეაქვთ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით მუშაობაში. მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გადამწყვეტი ღონისძიებანი. ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა.

კანონის პროექტში აღნიშნულია, რომ ანტისაზოგადოებრივი და პარაზიტული ელემენტების გადასახლების შესახებ საზოგადოებრივი განაჩენის გამოტანისას საერთო კრებას უნდა ესწრებოდეს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში შესაბამისი სახლმმართველობის ან ქუჩის კომიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სრულწლოვან მოქალაქეთა უმრავლესობა.

ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, თუ გადასახლების შესახებ საზოგადოებრივი განაჩენის გამოტანის უფლებას მივანიჭებთ აგრეთვე მრავალბინიანი სახლის მცხოვრებთა საერთო კრებას, რადგან ერთ სახლში მცხოვრები მოქალაქე შეიძლება არც კი იცნობდეს მეორე მრავალბინიან სახლში მცხოვრებ მოქალაქეს, და რასაკვირველია, მისთვის ძნელი იქნება ამ მოქალაქის შესახებ მსჯელობა.

**შ. ხიზანაშვილი,**
თბილისის საორთქლმავლო დეპოს საამქროს ოსტატი.

## გულდასმით განხილვის შემდეგ

„ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" კანონის პროექტმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეთა შორის. ეს სავსებით ბუნებრივია, საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც შრომა გმირობისა და სახელის საქმეა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს უსაქმურებს, პარაზიტებს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდა უზრუნველყოფს თვითეული მოქალაქისათვის შესაძლებლობას მიიღოს სამუშაო სპეციალობის მიხედვით, აანაზღაუროს შრომა მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობა ძალისა და ენერგიის დაუზოგავად შრომობს. კოლმეურნეობა შრომადღეებზე უხვად ანაწილებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ბეჯითი, შრომისმოყვარე ადამიანები სოფელში შეძლებულად ცხოვრობენ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ქალაქსა და სოფელს შუა დახეტიალობენ, შრომას გაურბიან და იოლ შემოსავალს ეძებენ. ასეთები არიან ჯანღონით სავსე ახალგაზრდები — შალვა ცოტნიაშვილი და შალვა ზორცვაძე, რომლებსაც წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ კოლმეურნეობაში. განა სწორი არ იქნება, რომ ასეთების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მივიღოთ.

კანონის პროექტის მიხედვით ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების გადასახლების შესახებ საზოგადოებრივი განაჩენის გამოტანისას სოფელ ადგილას საერთო კრებას უნდა ესწრებოდეს სოფლის სრულწლოვან მოქალაქეთა უმრავლესობა. ჩემი აზრით უმჯობესი იქნებოდა, რომ განაჩენის გამოტანის უფლება მიეცეს კოლმეურნეთა საერთო კრებებს. ეს გაზრდის კოლმეურნეობათა ავტორიტეტს და ხელს შეუწყობს იმას, რომ ცალკეული პიროვნების შესახებ მსჯელობა უფრო საქმიან ვითარებაში წარმოებდეს.

**ი. ქრისტესიაშვილი,**
სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

# ლიტერატურა და ხელოვნება

ბიბლიოთეკა

## საგურამოში



თორმეტი წელი რომ გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სამების ეკლესიაში მღვდელმა ნიკოლოზ არდაზიანმა ჯვარი დასწერა ახალგაზრდა წყვილს — ილია ჭავჭავაძეს და ოლღა გურამიშვილს, საგურამოში, დავით გურამიშვილის ნასახლარის მახლობლად, ზედაზნის მთის კალთებზე გაშენებულ გორისუბანში ამ ორმა ბედნიერმა, შესანიშნავმა ადამიანმა ორსართულიანი ფიცრული სახლი ჩადგა. ასე ჩაეყარა საფუძველი ზვიადი მებატონის თადეოზ გურამიშვილის მამულში დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის სახლ-კარს.

ოცი წლის შემდეგ, 1895 წელს, ილიამ იმ ადგილას პატარა ორსართულიანი ფიცრულის ნაცვლად სამსართულიანი, ქართულ აივნებიანი ქვიტკირის შენობა აღმართა. ეს იყო ილიას საზაფხულო რეზიდენცია. ამ სახლში გაატარა მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი ცამეტი წელიწადი.

დღეს ამ სახლში დიდი ქართველი მწერლის სახლი — მუზეუმია.

საგურამო — ჩვენი ქვეყნის ეს მიმზიდველი კუთხე — ქართველი კაცისათვის საყვარელი და დაუვიწყარი ადგილია. მას მრავალი პირი უნახავს, მისი ადგილები წინაპართა სისხლით არის მორწყული, მათი ძვლებით არის მოკენწილი. ამ მიწაზე პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ვახტანგ გორგასალმა. აქ ხმალამართული ქართველები ბაგრატ მეოთხის მეთაურობით სპობდნენ ფალდონის მტაცებლურ რაზმებს. საგურამოს ველები მრავალჯერ ყოფილა მოწმე თემურლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევისა. 1623 წლის 25 მარტს მუხრანისა და საგურამოს ველებზე გიორგი სააკაძის მეთაურობით გაერთიანებული საქართველოს დროშა აფრიალდა; „საგურამოში ლეკისა ჯარი მარტომან გახია" — ასე ახასიათებს ერთ-ერთი ხალხური ლექსის სტრიქონები ერეკლე მეორეს, რომელმაც საგურამოს ველზე ლეკთა ხელიდან მსახის ტყვიით გაუგმირა გული. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში აქ ერთმორწმუნე რუსეთის ჯარს სიხარულით შეეგება ქართველი ხალხი. საგურამოში დაიბადა ცნობილი ქართველი პოეტი, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის მომღერალი დავით გურამიშვილი. ამ ჰაერით სუნთქავდა, თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი აქ გაატარა დიდმა ილიამ.

არ არის საჭირო იცოდე, თუ რომელ რაიონში, რომელ სადაბო ან სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედის ეს პატარა სოფელი. მისი სახელი შორეულ კურილის კუნძულებზეც კი არის ცნობილი. მიზეზი უპირველეს ყოვლისა მისი მკვიდრების — დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული.

აი ყველასათვის მახლობელ ამ პატარა სოფელში მაგნიტივით გიზიდავს მრავალწლიანი მცენარეებითა და ვარდ-ყვავილებით გამშვენებულ ბაღში ჩადგმული ფართოაივნებიანი შენობა. ეზოში სრული მყუდროება სუფევს, რომელსაც ხანდახან ფოთლების შრიალით თუ დაარღვევს ილიას საყვარელი კაკლის ხე. ეს გოლიათი კაკალი ორ საუკუნეს ითვლის. მის ჩრდილში უყვარდა ჯდომა ილიას. აქვე, ქვის მაგიდების მახლობლად მოჩუხჩუხებს ანკარა ცივი წყარო, რომელიც ილიამ მახლობელი ტყიდან გამოიყვანა.



ეზოში მრავლად არის დღემდე შემორჩენილი ილიას ხელით დარგული კაკლის, ცაცხვის, ნეკერჩხლის, თელის, ბზის, იფნის ხეები. აი იასამნისა და ოქროს წვიმის ბუჩქები. აქ ხარობენ მშვენიერი ვარდ-ყვავილები, რომელთაც ნაირფერად მოუხატავთ ეს სანუკვარი მიწა. მათი მხატვარი, ილიას თანამედროვე, ვარდ-ყვავილების ჯადოქარი — მცხეთელი მოხუცი მიხეილ მამულაშვილია. იგი ილიას სახლ-მუზეუმის საბჭოს საპატიო წევრია.

ამ სახლის ყოველი ოთახი, თვითეული ადგილი დიდი პოეტის სიცოცხლით სუნთქავს. მართალია, ილია საგურამოში არ დაბადებულა, მართალია, მან თვალის პირველ ახელისთანავე ზედაზნის მთისა და არაგვის ჭალების ნაცვლად ყვარლის მთებისა და ალაზნის ველის მშვენება იხილა, მაგრამ იგი მაინც საგურამოთი იყო მოჯადოებული.

სახლ-მუზეუმის მთელ სამ სართულში მოთავსებული ნივთები, მხატვრების მიერ შესრულებული სურათები და ფოტოსტენდები გადმოგვცემენ დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ეს ექსპონატები გვაცნობენ ილიას ცხოვრებას ყვარელში, თბილისში, დუშეთში, პეტერბურგში, საგურამოსა და ბერლინში.

ერთი სტენდი მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის სახელწოდების დღის „ილიაობის" შესახებ. დიდი მწერლის სიცოცხლეში ეს დღე ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ამ დღეს აქ ჩამოდიოდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. უცხოელი სტუმრებიც ესწრებოდნენ ამ დღესასწაულს. მათ შორის ყოფილან გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, ინგლისელი მთარგმნელი ქალი მარჯორი უორდროპი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი, პარიზელი პროფესორი ბერტილიონი და იტალიელი პროფესორი ბოსკო.

საგურამოში „ილიაობის" დღეს ვაჟა-ფშაველამ ყანწით შესვა დიდი მამულიშვილის სადღეგრძელო, რომელიც ლექსით დაამგვირგვინა. ამის პასუხად აღფრთოვანებულმა ილიამ ახალგაზრდა ვაჟას ოქროს კალამი უსახსოვრა და უთხრა, შენს შემდეგ მე აღარ შემფერის ლექსების წერაო.

„ილიაობა" მარტო ლხინი კი არ იყო ქართველი საზოგადოებისათვის. ამ დღეს საგურამოში წყდებოდა ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიისა და სოფლის მეურნეობის საკითხები.

აქ ქართველი ხალხი შეხაროდა ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილ მედროშეს. „ილიაობის" დღეს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ ქართველი საზოგადოების სახელით ალისფერი დროშა გადასცა ილია ჭავჭავაძეს.

ილიაობა დღეს საგურამოს მრავალჯერ სწვევია მეზობელ წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის მოსწავლეთა დელეგაცია.

სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ ოთახში გამოფენილია ილია ჭავჭავაძის თბილისის სამუშაო კაბინეტის მოწყობილობა. აი ნივთები, რომლებიც მოწმენი არიან ილიას დიდი შრომისმოყვარეობისა — საწერი მაგიდა, რომელზეც დიდი მწერლის ნაქონი ნივთები — სამელნე, ნავთის ლამპა, გლობუსი დგას. ამ მაგიდაზე დაუწერია მას ქართული პროზის შედევრი „ოთარაანთ ქვრივი", ამავე ოთახში ეტაჟერზე ოლღასა და ილიას ნაქონი ნივთები აწყვია. შვლის ნუკრა, გარეული თხა, ჯიხვი — ეს ნივთები ილიაობა დღეს მიართვეს პოეტს წინამძღვრიანთ კარის მოსწავლეებმა.

მესამე სართულზე მოთავსებულია ილიას სამუშაო კაბინეტი საგურამოში. კაბინეტიდან აივანზე გამოდიხართ. ამ აივანზე უყვარდა ილიას განმარტოებით ჯდომა. აქედან უცქეროდა ბუნების დიდებულ სანახაობას — მზის ჩასვლას. ამ აივანზე უყვარდა ილიას ჭადრაკის თამაში მსახიობ კოტე მესხთან. ამ აივნიდან ხელისგულივით ჩანს საგურამოს ველი, არაგვის ატეხილი ჭალები დაწყებული მცხეთიდან თითქმის კავკასიონის ქედამდე. აქედან ტკბებით მუხრანის ველის, ქსნის ხეობისა და მუხნარის დიდებული პანორამით. ბუნების ამ სიმშვენიერეს აივნის მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი ილია მთელი საათობით უმზერდა.

დღეს ქართველი ხალხი გაცხოველებით ემზადება ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. სახელოვანი მწერლის სახლ-მუზეუმში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. იგი მრავალი ახალი მასალით მდიდრდება. გამოიცა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მეგზური ქართულად. ეს წიგნი რუსულადაც დაისტამბება, რათა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ მრავალ ექსკურსანტს მოემსახუროს. მუზეუმის მეცნიერმა-მუშაკებმა გამოსაცემად მოამზადეს საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის პირველი წიგნი, რომელიც შეიცავს მდიდარ დოკუმენტალურ მასალებს ილიას შესახებ, აგრეთვე ფოლკლორულ მასალებს, ილიას თანამედროვეთაგან მუზეუმის თანამშრომლების მიერ ჩაწერილს.

„ერთი რომ წერაქვი დაჰკრან, მაშინვე აქ ხალხი დასახლდება, ჰაერი მშვენიერია, ადგილმდებარეობა საუკეთესო, გადასახედი ნიშნებული, ბუნება ტურფა, ცივი წყაროები მრავალი". — ამბობდა დიდი ილია ამ მიდამოების შესახებ. ილიას ეს ოცნება უკვე განხორციელდა. სახლ-მუზეუმის მახლობლად წითელი კრამიტით გადახურულმა ლამაზმა სახლებმა კიდევ უფრო დაამშვენეს მიმზიდველი კუთხე. შარშან ამ სახლებში პირველად გაისმა ჟრიამული, პირველად აგიზგიზდა ქართული ბუხრები. ამ უბანს დიდი ქართველი მწერლის პატივსაცემად ილიას უბანი ეწოდა.

**ბ. ბახტურიძე.**

• • •

**სურათებზე:** ზევით — რიგის მშრომელთა დელეგაცია ათვალიერებს გამოფენას ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში; ქვევით — ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ხედი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## მადლობა ქართული თეატრის მუშაკებს

საქართველოს თეატრები საბჭოთა კავშირის სხვა თეატრებთან ერთად ღირსეულად ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. თეატრებში სერიოზულ მუშაობას ეწევიან რეპერტუარის გასამდიდრებლად როგორც ეროვნული პიესებით, ისე რუსული და დასავლეთ ევროპის დრამატული ნაწარმოებებით. მსახიობების, რეჟისორების და თეატრალური მხატვრების შემოქმედებითი ტექნიკის ამაღლებით გასულ სეზონში ქართულმა თეატრებმა ბევრი კარგი ახალი მაღალმხატვრული სპექტაკლი შექმნეს.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. მიხაილოვმა მადლობა გამოუცხადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილს და მხატვარ ი. სუმბათაშვილს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში „რიჩარდ მესამის" დადგმისა და მხატვრული გაფორმებისათვის; საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რეჟისორ დ. ალექსიძეს რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლ „ბორის გოდუნოვის" დადგმისათვის, რეჟისორ გ. პატარაიას და მხატვარს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. ლაპიაშვილს ამავე თეატრში სპექტაკლის „ეზოში ავი ძაღლია" დადგმისა და მხატვრული გაფორმებისათვის.

## ახალი წიგნები

**ჰ. ჰაინე — მოგზაურობის სურათები.** გერმანულიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ჯორჯანელებმა. სახელგამი, თბილისი, 1957 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 601, ფასი 21 მან. 75 კაპ.

**ვერიკო ანჯაფარიძე.** საიუბილეო კრებული. შემდგენელი და ნარკვევის ავტორი ნ. ურუშაძე. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1957 წელი. ტირაჟი 4.000, გვ. 947, ფასი 12 მანეთი. 50 კაპ.

# სიყვარულს უშენებია...

გავარვარებულ რკინას ნაპერწკლები სცვივა, მჭედელი ჩქარობს, ეტყობა საჩქარო საქმე აქვს, მაგრამ ავტომანქანის საყვირის ხმაზე მყისვე საბერველს აჩერებს და ჭიშკრისაკენ აჩქარებული მიდის.

საშუალოზე დაბალი ტანის კაცია, თმაგათეთრებული, პირი სუფთად აქვს გაპარსული, ეტყობა სიბერეს ცოტა დაუჩაგრავს, მაგრამ თვალები — ადამიანის სულის სარკე — მაინც ხალისიანად და ოდნავ ეშმაკურად უნათებენ.

— გამარჯობა, ძია ილიკო!

— მოგვიხველთ მშვიდობით, მობრძანდით, მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა... — ამბობს მოხუცი და თან ჭიშკარს აღებს.

ეზოში სანიმუშო სისუფთავე და მყუდროებაა, საიდუმლოდ შრიალებენ ალვის ხეები, ტოტიდან ტოტზე ხტიან გულჭრელა ჩიტები, ბზუიან ფუტკრები... ზეციდან ზაფხულის თაკარა მზე აცხუნებს, მაგრამ აქ მაინც გრილა, ზედ სამჭედლოს კართან რაკრაკებს მთის ნაკადული, რომელიც სახლის პატრონს ერთი კილომეტრი მანძილიდან პატარა არხით ეზოში შემოუყვანია.

ილია შავერდაშვილი განთქმულია როგორც მცენარეთა მყნობის შესანიშნავი ოსტატი, მოხერხებული მონადირე და საუკეთესო მჭედელი. მის კარმიდამოში ხშირად მოდიან სტუმრები რაიონული ცენტრიდან თუ დედაქალაქიდან, ყველას აინტერესებს ნახოს თიანეთელი მიჩურინელის შრომის ნაყოფი, მისი მშვენიერი ბაღი, ტყეში დამყნილი ბალამწარას, მაჟალოსა თუ პანტის ხეები, კაკლისა და წაბლის ნარგავები, ნახოს ადამიანი, რომლის ცხოვრება და შრომა მისაბაძია ყველასათვის, ვისაც სულით და გულით უყვარს მშობლიური ქვეყნის ბუნება.

ნათქვამია, ყოველი შედარება ორივე ფეხით მოიკოჭლებსო, მაგრამ ილიკოს მაინც ვაჟა-ფშაველას მინდიას ვადარებთ, იმ ბრძენ კაცს ვამსგავსებთ, რომელსაც ბალახებისა და მცენარეების ენა, ყოველი სულდგმულის ენა ესმოდა.



ი. შავერდაშვილი.

• • •

და. განა ილიკო მინდიასავით მუდამ თავდახრილი არ დადის, განა მას ნაკლებად ესმის მცენარეთა ენა!

ახლაც ბოსტანში რომ მიგვიძღოდა, ფეხის დასადგმელ ადგილს წინასწარ არჩევდა, ამით უსიტყვოდ გვთხოვდა — მცენარეები არ დამიზიანოთო. რა არ უხარებია ილიას ივრის ხეობაში: საზამთრო, ნესვი, პამიდორი, თამბაქო, ჭარხალი, კომბოსტო, ქინძი თუ ოხრახუში, კამა თუ პიტნა.

ახლა ბაღს არ იკითხავთ? ჯერჯერად დგანან ვაშლის, მსხლის, ატმის, გარგარის, ალუბლის, ბლის, ჭანჭურის, ქლიავის და კიდევ ვინ მოთვლის რა ჯიშის ხეები. თვითეულ მათგანს ილიას მზრუნველი ხელი ეტყობა, მისი დახმარებით შეეგუენ ისინი მთის მკაცრ პირობებს.

ბერიკაცმა გვიამბო:

— მყნობა ბებერმა პაპამ მასწავლა, თვითონ ბრმა იყო, მაგრამ ხელით მიჩვენებდა, აი ასე გააკეთეო და მერე ხელითვე ამოწმებდა ჩემს ნამუშევარს. დიდი სიყვარულით ვიგონებ მას.

— ჩვენს კუთხეში ძველად ბაღები არ იყო, ღმერთს ასე დაუწესებიაო, იტყოდნენ ხოლმე მოხუცები. სამაგიეროდ აქაურ ტყეში ბევრია ბალამწარა, პანტა, მაჟალო, თხილი და ზღმარტლი. არ ვიცი როდის მომივიდა აზრად დამემყნო ეს ნახევრადველური მცენარეები, ისე კი მახსოვს პირველი ცდა ამ ოცდაათი წლის წინათ მოვახდინე. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მაგრამ „აბეშჩიკები" გადამეკიდნენ... მოგეხსენებათ დამყნილ ხეს თუ გარშემო ეკალ-ბარდი და წვრილი ხეები არ მოაშორე, მალე დაიჩაგრება და სწორედ ეს ეკალ-ბარდი გახდა სადავო — შავერდაშვილი ტყეს ანადგურებსო, მიჩივლეს კიდეც. მაგრამ კეთილ კაცს ქვეყანაზე რა გამოლევს, სატყეო მეურნეობის დირექტორი პარმენ მუსერიძე დაინტერესებული იყო ჩემი ნამუშევრით და ტყეში დამყნილი ხეები რომ ენახა, „აბეშჩიკებისათვის" ეთქვა: თქვე კაი ხალხნო, ამ კაცს ოქროს საქმე უკეთებია და თქვენ რაღას ერჩითო...

სამი ათასზე მეტი ძირი პანტა, მაჟალო და ბალამწარა დაამყნო ილიამ ამ ხნის განმავლობაში. სამი ათასი! ეს სახუმარო საქმე როდია. აბა წარმოიდგინეთ სამი ათასი ხე, რომელთა გარშემო საჭირო იყო ჩივნარის გაჩეხვა, ყოველწლიურად შემოთოხნა, თავის დროზე გასხვლა. ყველაფერ ამას აკეთებს ერთი კაცი — ილია შავერდაშვილი.

ხეების დიდი უმრავლესობა კარგა ხანია ნაყოფს იძლევა. მიდიხარ ტყეში და ერთბაშად ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს წააწყდები. პირს ჩაიტკბარუნებ და აბა როგორ იქნება, რომ ილია შავერდაშვილი არ ახსენო და მრავალი წლის სიცოცხლე არ უსურვო.

ხილს იგი თავის საკუთრებად არ თვლის — ოღონდ ხეხილს ტოტებს ნუ დაამტვრევენ, ნუ დააზიანებენ და გამჩენმა შეარგოთ, ხალხისათვის მიმუშავნია, თორემ მე საკუთარი ბაღიც მეყოფაო — ამბობს.

რაიონში პირველად ილიამ სცადა ვაზის გაშენება. ამის ცდებმა გაახედვინა თიანეთისა და ზარიძეების კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ამ სამი წლის წინათ ჩაეყარათ ვაზი. მთიელები იმედოვნებენ, რომ მალე საკუთარი ღვინო ექნებათ, ამის გარანტია არის, რადგან ერთ დროს ივრის ხეობაშიც უხარებიათ ვაზი, ე. წ. არჩილის მონასტერთან ახლაც შემონახულა ძველებური მარნის ნაშთი.

...აღმართ-დაღმართ სიარულში მოვიქანცეთ. ილიას კი დაღლა არ ეტყობოდა. ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რომ იგი დადიოდა ნელა. მოზომილი ნაბიჯებით. ერთ ვაშლის ძირში შევჩერდით, ზემოთ ქოლგასავით გვეფარა ყოველმხრივ გაშლილი, ლოყებწითელა ნაყოფით დატვირთული ტოტები:

— მოწყვიტეთ, ჯიბეში ჩაიდეთ, ქალაქს რომ ჩახვალთ, ბავშვებს აჭამეთ... — გვეუბნება ილია.

კიდევ უფრო დაბურულ ტყეში შევედით, სადაც ოდნავ ნესტიანი სიგრილე იდგა, აქედან პატარა ბილიკს გავყევით. ილიას, რომელიც აქ ყოველ ბუჩქსა და ხეს ცნობს, სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაუარა, შემდეგ ტოტები მისწი-მოსწია და მიგვიყვანა ერთმანეთში ჩახლართულ ორ მოზრდილ ხესთან.

სიჩუმე ჩამოვარდა. მასპინძელი არაფერს ამბობდა. ჩვენც ვიფიქრეთ, ალბათ აქ დასასვენებლად თუ მოგვიყვანაო, მაგრამ ერთმა ამხანაგმა ზევით აიხედა და წამოიძახა: აი, ნამდვილი სიურპრიზი სწორედ ეს არის...

წიფლის წვეროებს ავხედეთ, სადაც ბარე ორმოციოდე მგელი ეკიდა გატყავებული, ილიას ხომ ნადირობაში ბადალი არა ჰყავს, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მას თოფით თუ ხაფანგით მოუკლავს 243 მგელი და მგლის ლეკვი, 37 დათვი, 17 ფოცხვერი, მაჩვებს ხომ სათვალავი არა აქვს.

ვიდექით და გაკვირვებით შევცქეროდით ნადირთა ამ თავისებურ მუზეუმს, ილიას კი ულვაშებში ეღიმებოდა:

— ამ ოთხი წლის წინათ უკანასკნელად დავიჭირე დათვი. როგორც წელან გითხარით, ძალა აღარ მყოფნის თორემ მაგათ სეირს კიდევ გაჩვენებდით, მგლებს კი ახლაც შავ დღეს ვაყრი...

შემდეგ შავერდაშვილმა სამჭედლოში მიგვიპატიჟა. აქ ზამთარ-ზაფხულ არ ქრება ქურა, ილიას მარჯვე ხელი აკეთებს გუთნების, ურმების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნაწილებს, თოხებს, ბარებს, ცულებს, წალდებს...

...რა კარგი იქნებოდა თუ თვითეული კაცი თავის შემდეგ ქვეყანაზე დატოვებდა რაიმე კარგს, — ამბობდა ბრძენი ადამიანი. ილია შავერდაშვილი სწორედ იმ კაცთაგანია, ვისაც უნდა ბაძავდეს ჩვენი ახალგაზრდობა, ვისი შრომა და სიცოცხლე ხალხისა და ბუნების სიყვარულით არის გასხივოსნებული.

ჩვენს ხალხს აკი ამიტომაც უთქვამს:

— სიყვარულს უშენებია!

**ა. თომაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## კომუნიკე პრეზიდენტ ხო ში მინის რუმინეთში ყოფნის შესახებ

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საქდესი). დღეს რუმინეთის პრესაში გამოქვეყნდა კომუნიკე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მეგობრობის ვიზიტის შესახებ. ხო ში მინი აქ იმყოფებოდა 1957 წლის 17-დან 21 აგვისტომდე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის მოწვევით.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ რუმინეთში ყოფნის დროს პრეზიდენტი ხო ში მინი აწარმოებდა მოლაპარაკებას გ. გეორგიუ-დეჟთან, პეტრუ გროზასთან, კივუ სტოიკასთან და რუმინეთის მუშათა პარტიისა და რუმინეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან. მოლაპარაკების მსვლელობაში გაიმართა აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. მოლაპარაკებამ, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა შეხედულებათა სრული ერთიანობა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცების, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხებზე, აგრეთვე სხვა განხილულ საკითხებზე. მოლაპარაკების დროს აღინიშნა წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ორივე ქვეყნის ხალხების მიერ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

მოლაპარაკების მსვლელობაში, ნათქვამია კომუნიკეში, ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს მოქმედება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების მქონე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გამრავლდეს ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად, ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვისათვის.

კმაყოფილებით დადასტურდა, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ვითარდებოდა და ვითარდება ორივე ხალხის ინტერესებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარისათვის გაგზავნილ 1957 წლის 8 ივნისის ნოტაში, რომლითაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს მიღებულ იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი ჟენევის შეთანხმებათა შესასრულებლად ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით.

ორივე მხარემ აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს ძმური კავშირი რუმინეთის მუშათა პარტიასა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიას შორის და გაძლიერდეს გამოცდილებისა და ურთიერთ ინფორმაციის გაცვლა ორივე პარტიას შორის.

პრეზიდენტ ხო ში მინის ვიზიტს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ხაზგასმით აღნიშნულია კომუნიკეში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა და ძმური თანამშრომლობის განვითარებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

## რუმინეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავი

### საზეიმო კრება ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავს.

ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში იყვნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და მდივნები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი.

მოხსენება რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის მე-13 წლისთავის შესახებ გააკეთა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ბოდნარაშმა.

## ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. იუგოვის პასუხი გაზეთ „ატინაიკის" კორესპონდენტის კითხვებზე

სოფია, 21 აგვისტო. (საქდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ გადასცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანტონ იუგოვის პასუხი საბერძნეთის გაზეთ „ატინაიკის" კორესპონდენტის კითხვებზე.

უპასუხა რა კითხვებზე, რომლებიც ეხება ბულგარეთ-საბერძნეთის ურთიერთობას, ა. იუგოვმა აღნიშნა, რომ არსებობს ხელსაყრელი პირობები იმ დაბრკოლებათა აღსაკვეთად, რომლებიც ჯერ კიდევ უშლიან ხელს ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობის სრულ მოწესრიგებას.

საიდუმლო არ არის, თქვა მან, რომ ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის ჯერ კიდევ არის ზოგიერთი სადავო და გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც, ჩვენ მიგვაჩნია, შეიძლება გადაიჭრას იმ პირობით, თუ ორივე მხარე გამოიჩენს კეთილ ნებას...

ჩვენს მთავრობას, განაგრძო ა. იუგოვმა, არაერთხელ წარმოუდგენია კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებანი. მოუცია იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მას სურს სავსებით მოაწესრიგოს მთელი რიგი დღემდე გადაუჭრელი საკითხები საბერძნეთთან ურთიერთ სასარგებლო საფუძველზე...

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მზად არის დადოს საბერძნეთთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ორმხრივი პაქტი.

უპასუხა რა კითხვებზე, რომლებიც ეხება ბულგარეთის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის ვიზიტს მოსკოვში, ა. იუგოვმა თქვა: ბულგარეთის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის ვიზიტიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი დასკვნა ის არის, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს ძმური, მეგობრული ურთიერთობა, ორი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთობა, რასაც საფუძვლად უდევს სრული ურთიერთ პატივისცემისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის პრინციპი.

იუგოსლავიასთან და თურქეთთან ბულგარეთის ურთიერთობის შესახებ ა. იუგოვმა განაცხადა:

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და თურქეთს შორის სავსებით შესაძლებელია მშვიდობიანი გზით კეთილმეზობლურად გადაიჭრას საკითხები, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს...

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას იუგოსლავიასთან, ბევრჯერ განგვიცხადებია, რომ იგი ვითარდება და განვითარდება როგორც ურთიერთობა ორ სოციალისტურ ქვეყანას შორის.

იუგოსლავიის ხალხებთან ჩვენ გვაკავშირებს საერთო მიზანი — სოციალიზმის აშენება, ეს კი მტკიცე საფუძველია, რომელსაც ემყარება და კვლავაც დაემყარება ბულგარეთ-იუგოსლავიის ურთიერთობა.

კითხვაზე ბალკანეთის პაქტის შესახებ ა. იუგოვმა უპასუხა, რომ მისი აზრით, ბალკანეთში, ისევე როგორც ევროპაში, მშვიდობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა ხელშეკრულების დადება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ.

მთელი მსოფლიოს ხალხებს, მათ შორის ბალკანეთის ხალხებსაც, თქვა დასასრულ ა. იუგოვმა, სურთ იცხოვრონ ურთიერთ შორის მშვიდობისა და მეგობრობის ვითარებაში. და ის, ვინც ყურს არ უგდებს ხალხების ხმას, ირჩევს საშიშ გზას, რომელიც გარდუვალად მიიყვანს მას კატასტროფამდე. ახლო წარსულის ისტორიამ სავსებით კატეგორიულად დაამტკიცა ეს.

## მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი

21 აგვისტოს მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰასან ახავი, რომელიც ათ დღეს იყო საბჭოთა კავშირში. იგი ეცნობოდა მიღწევებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში, ხვდებოდა თვალსაჩინო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებსა და თვალსაჩინო სპეციალისტებს. ირანელ ინჟინრებთან ერთად, რომლებიც მინისტრს თან ახლდნენ, მან დიდი ყურადღებით დაათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატები. ირანელი სტუმარი ეწვია აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიას. გამგზავრების წინ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომლის მოწვევით სტუმრად იყო საბჭოთა ქვეყანაში ბ-ნი ახავი, დარბაზობა გამართა ირანის მინისტრის პატივსაცემად.

ვნუკოვოს აეროდრომზე ირანის მინისტრი გააცილეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მაცკევიჩმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ პ. ნ. კუჩუმოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

ბ-ნი ახავი გააცილეს აგრეთვე ირანის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ა. მასუდ-ანსარიმ და ირანის საელჩოს თანამშრომლებმა.

სამშობლოში მიმავალი ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი გზად ინახულებს კავკასიის ზოგიერთ ქალაქს. (საქდესი).

## ბონის მინისტრმა თავი შეირცხვინა

ბერლინი, 22 აგვისტო. (საქდესი). როგორც ადნის სააგენტოს ცნობიდან ცხადი ხდება, ბონის ტრანსპორტის მინისტრს ზეებომს, რომელმაც 20 აგვისტოს სიტყვა წარმოთქვა წინასაარჩევნო მიტინგზე ჰამბურგში, იგივე ბედი ეწია, რაც თავდაცვის მინისტრს შტრაუსს, რომელიც იმავე ქალაქში გამოვიდა რამდენიმე დღის წინათ. ორივე მინისტრს, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ ბონის მთავრობის მილიტარისტული, აგრესიული პოლიტიკა, მიტინგას მონაწილეებმა უსტვინეს.

როგორც სააგენტო იუწყება, მიტინგზე ზეებომის გამოსვლის დროს მღელვარე სცენები ხდებოდა. მიტინგის მონაწილეები იმეორებდნენ: „წაეთრიოს ზეებომი!", „იგი ტყუის!". ბონის მინისტრს სიტყვა არაერთგზის გააწყვეტინეს. ერთ-ერთი ასეთი იძულებული შეწყვეტის დროს, როცა არამზადები რეაქციული „გერმანული პარტიიდან" შეეცადნენ „წესრიგი დაემყარებინათ", მიტინგის მონაწილეებმა ორკესტრი აიძულეს სამხედრო მარში შეესრულებინა. დარბაზში, სადაც მიტინგი წარმოებდა, შეიყვანეს პოლიციელთა რაზმი. ბონელი მინისტრი იძულებული გახდა ნაჩქარევად დაემთავრებინა თავისი სიტყვა.

როცა ზეებომის სიტყვის შემდეგ მიტინგის ერთი მონაწილე ტრიბუნაზე ავიდა, რათა მთავრობის პოლიტიკის შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა, პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა გზა გადაუღობა მას და ტრიბუნიდან ჩამოაგდო. ამის შემდეგ მას სცემეს მიტინგის დამცველებმა და პოლიციაში წაიყვანეს. მაგრამ მთელი ამ პოლიციური ღონისძიებებით ვერ მოახერხეს მიეჩქმალათ ბონის მინისტრის სასტიკი მარცხი. მიტინგის ხელმძღვანელებმა სხვა გამოსავალი ვერ იპოვნეს და ნაადრევად გამოაცხადეს მიტინგი დახურულად.

## ომანის ხალხი იარაღს არ დაყრის

### ომანში სახალხო აჯანყების ხელმძღვანელის განცხადება

ბეირუთი, 22 აგვისტო. (საქდესი). როგორც ბეირუთის რადიო გადმოგვცემს, ომანის აჯანყებული ტომების ხელმძღვანელმა იმამ გალებ ბენ ალიმ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს უარი დღის წესრიგში შეიტანოს ომანის წინააღმდეგ ინგლისის აგრესიის საკითხი მხოლოდ გააძლიერებს იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

## მოძრავი სატელევიზიო სადგური



ვინც ფეხბურთის უკანასკნელ მატჩებს დასწრებია თბილისის „დინამოს" სტადიონზე, უეჭველად ყურადღებას მიაქცევდა დასავლეთის ტრიბუნის შესასვლელთან მდგომ ორ დიდ წითელ ავტობუსს. ავტობუსებს რომ მიუახლოვდეთ, დაინახავთ მათს არაჩვეულებრივ გარეგან გაფორმებას: ერთის სახურავზე დადგმულია ორი დიდი თეფშისებრი ვერცხლის დისკო. მანქანებს უკან აქვთ სპეციალური კიბეები. მანქანებიდან გაბმულია სქელი კაბელები. ეს ავტობუსები წარმოადგენენ თბილისში ახლახან მიღებული „პტს-52" მარკის მოძრავი სატელევიზიო სადგურის შემადგენელ ნაწილს.

ამ სადგურის ასაწყობად ლენინგრადის რადიოქარხნიდან ჩამოვიდა სპეციალისტების ჯგუფი.

ამწყობთა ბრიგადირს ნ. ალექსანდროვიჩს ვთხოვეთ გაეცნო ჩვენი მკითხველებისათვის სადგურის მოწყობილობა. მან მიგვიპატიჟა იქვე მდგომ ავტობუსში.

შიგნით დასაჯდომი ადგილები არ არის. არის მხოლოდ დანადგარები, აგრეგატები, მიკროფონი, ტელევიზორი, ტელეფონები.

— ამ ორ ავტობუსს, — ამბობს იგი, — სხვადასხვა დანიშნულება აქვს: ერთ მათგანში მოთავსებულია გამოსახულების გადამცემი მოწყობილობა, მეორეში კი ტელეგადაცემათა გამაძლიერებელი აპარატები.

ავტობუსებში არის სამი გადამცემი კამერა, რომლებიც, მაგალითისათვის რომ ვთქვათ, „დინამოს" სტადიონზე დაიდგმება ტრიბუნების სხვადასხვა ადგილას. ეს საშუალებას მოგვცემს ტელევიზორის მაყურებლებს ვუჩვენოთ თამაშის ყველაზე საინტერესო მომენტები.

გადაცემის დროს სამართავ პულტთან ავტობუსში იმყოფება რეჟისორი, რომელიც სამივე კამერიდან მიღებული გამოსახულებიდან შეარჩევს ყველაზე საინტერესო კადრებს და გადასცემს სატელევიზიო ცენტრს. გადაცემის რეჟისორის პულტთან არის მიკროფონი და დინამიკი — ოპერატორებთან, გახმოვანების რეჟისორთან და რადიოკომენტატორთან კავშირის დასამყარებლად. ამრიგად, ტელევიზორთან მყოფ მაყურებლებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ თამაშს და ამავე დროს მოისმინონ რადიომიმომხილველის კომენტარებიც.

ავტობუსის სახურავზე ორ დისკოს რომ ხედავთ ეს გადამცემი ანტენებია. გადაცემის დროს ერთი მუშაობს, მეორე კი რეზერვშია და ყოველთვის შეუძლია შეცვალოს მომუშავე ანტენა.

თვითეულ გადამცემ ანტენას აქვს ექვსი შემცვლელი მალალხარისხოვანი ობიექტივი, რომელთა შეცვლა შეიძლება თვალის დახამხამებაში. მათი შემწეობით იცვლება გამოსახულების ხედვის არე — ხდება საჩვენებელი ობიექტის ხან დაახლოება, ხან დაშორება.

მთაწმინდაზე ტელეცენტრის კოშკზე გაკეთებულია სამი მიმღები ანტენა, რომლებიც იღებენ გამოსახულებებსა და ხმას ავტობუსის გადამცემი ანტენიდან. იქ გამოსახულება და ხმა ძლიერდება და შემდეგ დიდი გადამცემის მეშვეობით მიდის ეთერში.

ახლა ამწყობები გ. შტოკალოვი, ბ. ომეტოვი, ვ. ბესედა, ი. კამალოვი ინტენსიურად მუშაობენ, რომ დააჩქარონ მოძრავი სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ახლო მომავალში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს საშუალება მიეცემათ ტელევიზორში ნახონ, რაც კი რამ საინტერესო მოხდება სტადიონებზე და პარკებში, თეატრების დადგმები და სიმფონიური კონცერტები, სახალხო დღესასწაულები, რეპორტაჟი ფაბრიკა-ქარხნებიდან და სხვა მრავალი ქალაქის ცხოვრებიდან.





სურათებზე: 1. სატელევიზიო ავტობუსის ხედი, 2. გ. შტოკალოვი აწყობს „კტ-6" მარკის სატელევიზიო კამერას; 3. ამწყობთა ბრიგადირი ნ. ალექსანდროვიჩი ამოწმებს რეჟისორის სამართავი პულტის მუშაობას ავტობუსში.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ორჯონიკიძის რაიონში

### ელექტროწისქვილი

სოფელ ნებოძირის კოლმეურნეობის გამგეობამ მოლითში ააშენა ელექტროწისქვილი, რომელიც მოემსახურება სოფლების: ნებოძირის, მოლითის, დეისის, ბაბის და ქვების მოსახლეობას.

### სახერხი ქარხანა

სოფელ სერბაისის კოლმეურნეობის გამგეობამ ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა სახერხი ქარხანა. იგი ელექტროენერგიით მუშაობს და წელიწადში 600 კუბმეტრზე მეტ მასალას დაამუშავებს.

### უნივერმაღის შენობა

ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობამ დაბა ორჯონიკიძეში დაიწყო უნივერმაღის სამსართულიანი შენობის აგება, რაზეც 400 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯება. მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება.

### კოლმეურნეობის კანტორა

სოფელ ხიდრის კოლმეურნეობის გამგეობამ დაიწყო ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. პირველი სართული განკუთვნილია კლუბისათვის, ხოლო მეორე — კოლმეურნეობის კანტორისათვის. მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება. (საქ. კორ.).

## პიონერთა მეგობრობის საღამო

სოხუმი. (საქ. კორ.). აქ პიონერთა სახლში გაიმართა პიონერთა მეგობრობის საღამო, რომელსაც დაესწრნენ სოხუმის, ბათუმის, სტალინაბადის და წითელწყაროს პიონერები, რომლებიც ამჟამად ისვენებენ სოხუმის საბავშვო ტურისტულ ბაზაში. დასვენების პერიოდში პიონერებმა დაათვალიერეს სოხუმის ღირსშესანიშნაობანი, ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი, თუ როგორ გაატარეს საზაფხულო არდადეგები.

დასასრულ გაიმართა ბავშვთა თვითმოქმედების დიდი კონცერტი.

დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა სტალინაბადელი ტაჯიკი პიონერის, მეცხრეკლასის მოსწავლის რუბაბი-დოს-მუხამედოვის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ელექტრომონტიორის ქალიშვილის, ნანული ლაგვილავას, წითელწყაროელ კოლმეურნის ქალიშვილის ლიდა ბექაურისა და სხვების გამოსვლებმა.

საინტერესო პროგრამით გამოვიდა სოხუმის პიონერთა პარკის მომღერალთა გუნდი 50 პიონერის მონაწილეობით.

კონცერტის შემდეგ პიონერებმა გაისეირნეს ქალაქის ულამაზეს ბაღებსა და სკვერებში.

## კურორტ ცემში

ზღვის დონიდან 1.116 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს კურორტი ცემი. იგი ოთხივე მხრიდან შემოფარგლულია მთებით, რომლებიც დაფარულია მრავალწლიანი ფიჭვნარითა და ნაძვნარით. ცემის თვალწარმტაცი ბუნება უამრავ მოაგარაკეს იზიდავს.

ყოველ ზაფხულობით აქ ათასობით მშრომელი ისვენებს. მოწყობილია პიონერთა ბანაკები, საბავშვო ბაღები, ბაგები. მუშაობს ბავშვთა სანატორიუმი. სანატორიუმ „მზიურაში" ისვენებს და ჯანმრთელობას იკაჟებს ასობით მშრომელი, მათ შორის შორეული მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულნიც. ცემში ბევრია არაორგანიზებული დამსვენებლიც.

კურორტ ცემის მთავარი ნაკლი უწყლობა იყო. წელს სოფელ ცემის მცხოვრებთა საერთო კრებაზე დაისვა საკითხი ეგრეთწოდებული „ბერის წყაროს" წყლის გამოყვანის შესახებ, რომელიც ცენტრს დაშორებულია სამი კილომეტრით. აირჩიეს კომისია, რომელსაც წაღვერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცემში მცხოვრები სოკრატ გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა.

ბევრი დაბრკოლების მიუხედავად წყალი გამოყვანილ იქნა, რითაც საუკეთესო წყაროს წყლით მომარაგებულია კურორტ ცემის ყველა უბანი.

აგარაკ ცემს ემსახურება ორი მაღაზია. მოაგარაკეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ აგრეთვე სანატორიუმ „მზიურის" საკონცერტო დარბაზით, სადაც სისტემატურად აჩვენებენ კინოფილმებს და იმართება კონცერტები.

კურორტ ცემის მოაგარაკეთა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ქუჩების მოასფალტება. კარგი იქნება, თუ ამ საკითხის მოგვარებას ზემოაღნიშნული კომისია ჩაუდგება სათავეში და ამ საქმეს უახლოეს ხანში წარმატებით დააგვირგვინებს.

გ. ხომასურიძე,
სადგურ ცემის უფროსი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესი

კიევი, 21 აგვისტო. (საქდესი). მეხუთე დღეა მუშაობას განაგრძობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესი. გამოვიდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბევრი ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა განმტკიცდეს ახალგაზრდობის მეგობრობა, განვითარდეს თანამშრომლობა, გაუმჯობესდეს ახალგაზრდა მუშათა, გლეხთა, მოსამსახურეთა, სტუდენტთა მდგომარეობა. დელეგატთა და მეთვალყურეთა გამოსვლებში ერთსულოვნად გამოიხატა აზრი, რომ საჭიროა მშვიდობის დაცვა ახალი ომის საფრთხისაგან, საჭიროა შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, სავსებით აიკრძალოს იგი.

სისტო ფლორესმა, ვენესუელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ხალხები უნდა გაერთიანდნენ ატომგული იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახალგაზრდობა გულგრილი ვერ იქნება მშვიდობის ბედისადმი. მან უნდა შეიმუშაოს თანამშრომლობის საერთო პროგრამა. საერთო უნდა იყოს თანაარსებობის, დემოკრატიულ თავისუფლებათა, ხალხთა უფლებებისათვის, მათი თავისუფლებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის ბრძოლის იდეები.

ტრიბუნაზეა დიდი ბრიტანეთის დელეგატი ჯონ მოსი. თავისი სიტყვის პირველი ნაწილი მან მიუძღვნა ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემებს, და განაცხადა, რომ ეს პრობლემა აღელვებს ინგლისელ ხალხს. ინგლისის ლეიბორისტული პარტია, თქვა ორატორმა, ეკლესიათა საბჭო, ქალთა პროფკავშირების საბჭო, ახალგაზრდობის რელიგიური ორგანიზაციები მხარს უჭერენ საერთაშორისო შეთანხმებას თერმოატომგული იარაღის შემდგომი გამოცდის შეწყვეტის შესახებ. 90 კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტები აცხადებენ, რომ საჭიროა შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა.

კონგრესმა, თქვა ჯონ მოსმა, უნდა მიმართოს ახალგაზრდობის მსოფლიო ასოციაციის და სოციალისტი ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის ყველა წევრ-ორგანიზაციას წინადადებით ერთობლივი მოქმედების შესახებ მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ალჟირელი ხალხის თავდადებულ ბრძოლაზე ილაპარაკა ბოუნსდიარმა. მან მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მოუწოდა მოაწყონ ფართო კამპანია ალჟირის მშვიდობისათვის. ჩვენ ვთხოვთ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას, თქვა მან, მოაწყოს ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობისა და ხალხისადმი სოლიდარობის კვირეული სისხლისღვრის შეწყვეტისათვის, იმისათვის, რომ დაიწყოს მოლაპარაკება განმათავისუფლებელ არმიასთან, რომელიც ალჟირელი ხალხის ერთადერთი ნამდვილი წარმომადგენელია, ალჟირის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. ეს კამპანია, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, უნდა გაგრძელდეს, სანამ ალჟირის საკითხის განხილვა დაიწყებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდგომ სესიაზე.

კონგრესის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ ალჟირის ქალიშვილთა და ჭაბუკთა წარმომადგენელს.

კონგრესზე მუშაობას განაგრძობენ კომისიები — კოლეგიები.

სხდომებზე გამეფებულია თანამშრომლობის, მეგობრობის სულისკვეთება, რაც ასე დამახასიათებელია დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესის მუშაობისათვის. კომისიების მუშაობას ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი აქვს, ყველა კომისიაში არიან ბევრი ქვეყნის დელეგატები და მეთვალყურეები. დისკუსიის მსვლელობაში კონგრესის მონაწილენი სახავენ მშვიდობისათვის, ახალგაზრდობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის გაძლიერების გზებს.

გაცხოველებით და საინტერესოდ მიმდინარეობს დისკუსია კომისიაში „ახალგაზრდობა და ევროპის თანამშრომლობა". მის მუშაობაში მონაწილეობენ ევროპის მეტი წილი ქვეყნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელმა მიხეილ დავიდოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ახალგაზრდობის ბრძოლას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ. მან წინადადება შეიტანა ყოველ წელს მოეწყოს „მეგობრობის კვირეული" მთელი ევროპის მასშტაბით. ამ დროს უნდა მოეწყოს დელეგაციების გაცვლა, შეხვედრები საზღვრებზე, ფილმების გაცვლა, სპორტული და კულტურული ღონისძიებანი. მან მხარი დაუჭირა პოლონეთის დელეგაციის წინადადებას — მოეწყოს ევროპის ახალგაზრდობის შეკრება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას — მოეწყოს ბალტიის ქვეყნებს ახალგაზრდობის შეკრება და თავის მხრივ წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ახალგაზრდობის შეკრება. მან მხარი დაუჭირა აგრეთვე იმას, რომ სსრ კავშირში გაიმართოს სემინარი ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხებზე.

განცხადებები გააკეთეს აგრეთვე ბელგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

21 აგვისტოს მუშაობა დაიწყეს კომისიებმა „თერმოატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ", „ბავშვთა აღზრდა და საბავშვო ორგანიზაციების საქმიანობა" და სხვ.

### დღეს თბილისის კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კიროვის სახელობის პარკი** — ხანკა, **ოქტომბერი** (საზაფხულო) — ანტუანი და ანტუანეტა, **ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — მე შევხვდი ქალიშვილს, **კომკავშირელი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კომუნარების ბაღი** — ადამის ნეკნი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — არყის ხეები ველზე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — მეთორმეტე ღამე, **კოლხიდა** (საზამთრო) — ისინი ხუთნი იყვნენ, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ამბავი პირველ სიყვარულზე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე** (საზამთრო) — ჩემი საწყალი საყვარელი დედა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ოჯახის ღირსება, **კოლმეურნე** — ბორანი, **დიდუბე** (საზაფხულო) — კვალი რჩება, **ყაზბეგი** — მას უყვარხარ, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ციცაბო საფეხურები, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ჰოდგალიე ცეცხლში, **ვაკის პარკი** — ხიროსიმა.

### ტელეგადაცემათა პროგრამა

**20 აგვისტოსათვის**

20.00 — საესტრადო კონცერტი, 20.30 — მხატვრული ფილმი — „ანა კისერზე". (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ სურათის ნახვა მიზანშეუწონელია).

**მომხმარებელთა საყურადღებოდ!**

„თბილტექსტილშვეიობუვტორგის" მზა-ტანსაცმლის მაღაზიებში: პასაჟი პუშკინის ქ. № 5, მაღაზია № 2 პლეხანოვის პროსპ. № 91, მაღაზია № 17 რუსთაველის პროსპ. № 46, მაღაზია № 20 პლეხანოვის პროსპ. № 95, მაღაზია № 21 პლეხანოვის პროსპ. № 117, მაღაზია № 22 პლეხანოვის პროსპ. № 122, მაღაზია № 23 რუსთაველის პროსპ. № 34, მაღაზია № 24 ლენინის აღმართი № 17.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან გაიყიდება სასკოლო ფორმის მზა ტანსაცმელი; კოსტიუმები შალისა და ბამბის ქსოვილებისაგან, კაბები, წინსაფრები, ქუდები, ქამრები, ქამრის ბალთები და ქუდის კოკარდები.

შვილი სერგო, რძალი მელანია შვილებით იუწყებიან

**ლიზა დავითის ასულ ხუროძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VIII, 5 ს. ქ. დუშეთში.

---

შვილი ნინო; თინა, თამარ ნემსაძეები, ნათელა იოსელიანი იუწყებიან

**პელაგია გიორგის ასულ ლორთქიფანიძე-ლალიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 2 ს. მიასნიკოვის ქ. № 47.

---

დედა პელაგია, და თამარ; თ. აკოფოვა, ე. ხიზანიშვილი იუწყებიან

**ირა ვართანის ასულ არშაკუნის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-VIII, 8 ს. გამოსვენება 27-VIII, 6 ს. ტრამვაის ქ. № 1.

---

დედა ნადეჟდა, მეუღლე ოლღა, შვილი ისმაილ, რძალი ნაირა, ძმები ანდრო, გრიშა, მიხეილ, დავით, და თამარ ოჯახებით იუწყებიან

**ნიკოლოზ ისმაილის-ძე გამრეკლიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 7 ს. ქ. რუსთავში, მე-2 ვაგზლის შესახვ. № 6, გამოსვენება 25-VIII, 3 ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

---

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება

**კირილე ქაიხოსროს-ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VIII, 5 ს. სოფ. მუხრანში.

---

მეუღლე მარო, შვილი მერი, სიძე გივი ბილანიშვილი შვილებით იუწყებიან

**დავით ალმასხანის-ძე ქურიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 4 ს. ათარბეგოვის ქ. № 6.

---

და მარიამ ყიფიანი; დავით თუხარელი ოჯახით იუწყებიან

**ნატალია იოსების ასულ ყიფიანის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 25-VIII, 1 ს. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურის შენობიდან, კამოს ქ. № 103.

---

შვილები შოთა, ელიზბარ, რძლები ეთერ, გულნარა ოჯახებით იუწყებიან

**მარიამ ზაქარიას ასულ მონადირიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 5 ს. ჯანაშიას ქ. № 5.

---

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს და რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან უფროსი მეცნიერი მუშაკის

**ლუბა მიხეილის ასულ ასათიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 3 ს. ელექტრობის შესახვ. № 4.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03512

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.